საინფორმაციო ფურცელი 2025

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

ივლისი-სექტემბერი

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო | GCCA ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, სამართლიანი ბიზნესგარემოს ფორმირებას, ბიზნესის კონკურენტუნარიანობას და მომხმარებლის უფლებების დაცვის ეფექტიან აღსრულებას.

სარჩევი

- GCCA-ის აქტივობები, შეფასება და აღიარება საერთაშორისო დონეზე
- სტრატეგიული ბაზრების მიმდინარე მონიტორინგები
- კონცენტრაციების კონტროლი
- მომხმარებლის უფლებების დაცვა
- მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით
- სასწავლო კვლევითი ცენტრის აქტივობები
- თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო ფორმატებში
- კონკურენციის პოლიტიკის მიმართულებით მიღებული მნიშვნელოვანი საერთაშორისო გადაწყვეტილებების მიმოხილვა

GCCA-ის აქტივობები, შეფასება და აღიარება - საერთაშორისო დონეზე

თბილისში 13-15 ნოემბერს IV საერთაშორისო კონფერენცია „კონკურენცია და მომხმარებლის უფლებების დაცვა“ გაიმართება

კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ ICPEN-ისა და World Bank-ის 2025 წლის მომხმარებელთა განათლების ჯილდო მიიღო

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს, მომხმარებლის უფლებების დაცვისა და აღსრულების საერთაშორისო ქსელისა (ICPEN) და მსოფლიო ბანკის 2025 წლის მომხმარებელთა განათლების ჯილდო გადაეცა ნომინაციაში - **„ბიზნეს-სამომხმარებლო ურთიერთობებში ეფექტიანი კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება“.**

აღნიშნული ჯილდო წარმოადგენს საერთაშორისო აღიარებას სააგენტოს მიერ გამჭვირვალე, ინკლუზიური და ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო სისტემის ჩამოყალიბებისა და განხორციელების მიმართულებით მიღწეული წარმატებისათვის.

დაჯილდოების ცერემონია დომინიკის რესპუბლიკაში მიმდინარე წლის 3 ოქტომბერს გაიმართა, სადაც GCCA-ის თავმჯდომარე ირაკლი ლექვინაძე მონაწილეობდა.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1792&lng=geo

სააგენტოს მიერ, ინიციატივა დაინერგა 2024 წელს „მომხმარებლის უფლებების დაცვის ეროვნული სტრატეგიის“ ფარგლებში, რომლის კონცეფციაც ბიზნესსა და მომხმარებლებს შორის კომუნიკაციას განიხილავს როგორც ერთ-ერთ ძირითად მექანიზმს კეთილსინდისიერი და სამართლიანი საბაზრო გარემოს შესანარჩუნებლად.

- 90-მდე ქვეყნის ერთობლივი თანხმობით, 2026-2027 წელს, მომხმარებლის დაცვის და აღსრულების საერთაშორისო ქსელს GCCA-ი უხელმძღვანელებს.

გადაწყვეტილება, რომელსაც ორგანიზაციის წევრი ყველა ქვეყნის თანხმობა სჭირდება ICPEN-ის საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში, 12-16 მაისს, ვაშინგტონში იქნა მიღებული.

კონკურენციის და მომხმარებლის დაცვის სააგენტო ICPEN-ის პრეზიდენტობის პერიოდში წევრ ქვეყნებთან ერთად სამ პრიორიტეტულ საკითხზე იმუშავებს:

01 გააძლიეროს ქვეყნებს შორის თანამშრომლობა გამოცდილების გაზიარების, გლობალური სტანდარტების შემუშავების და არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით;

02 გააძლიეროს ციფრულ ბაზრებზე მომხმარებელთა უფლებების დაცვის მექანიზმები;

03 გააძლიეროს ახალგაზრდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის უწყებები უკვე გამოცდილ უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავებით.

პრეზიდენტობის პერიოდში, GCCA-ი ხელმძღვანელობას გაუწევს სამუშაო ჯგუფების საქმიანობას, დღის წესრიგის შესაბამისად განერილი განსახილველი საკითხების შემუშავების პროცესს, მომხმარებლის უფლებების დაცვის გლობალური სტადარტების განმტკიცება/გაუმჯობესებას და წევრი ქვეყნების მონაწილეობით საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლებს.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1719

სტრატეგიული ბაზრების მიმდინარე მონიტორინგები:

GCCA-მა, ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების მიზნით, სამედიცინო მომსახურების ბაზრის მონიტორინგი დაიწყო

მონიტორინგის ფარგლებში, ბაზრის შეფასება მოხდება კონკურენციის კანონმდებლობით განსაზღვრული ზოგადი პარამეტრებით, როგორიცაა: ბაზრის მოცულობა, მოქმედი კომპანიები, კონცენტრაციის ინდექსი, საბაზრო წილები/დინამიკა და შესაბამისად დომინანტურ მდგომარეობაზე მსჯელობა მისი დადასტურების ან გამორიცხვის მიმართულებით. ასევე, ბაზრის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეფასდება კონკურენტული გარემო სხვა დამატებითი ფაქტორების გათვალისწინებით.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1781



დასრულდა ერთი მოკვლევა, რომელიც ფარმაცევტულ ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას შეეხებოდა - GCCA-მა ოთხი ფარმაცევტული კომპანია დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისთვის 560 000 ლარით დააჯარიმა.

მიმდინარე რეჟიმშია მოკვლევა სს „თიბისი ბანკის“ და შპს „თინეთის“ მიერ კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით

დასრულდა 5 შეტყობინების განხილვა, თანხმობა გაიცა შემდეგ ბაზრებზე განხორციელებულ კონცენტრაციებზე:

- აზარტული თამაშების მიწოდების ბაზარი
- ბავშვთა კვების პროდუქტების ბაზარი
- საავტომობილო გზების მშენებლობის ბაზარი
- GPS მოწყობილობებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების ბაზარი
- ცემენტისა და ბეტონის წარმოების ბაზარი

შპს „ქართული ცემენტის“ მიერ შპს „ჯორჯიან ბილდინგ გრუპის“ და „შპს ჯორჯიან ბილდინგ გრუპ ბეტონის“ წილების ან ქონების შეძენით განსახორციელებელ კონცენტრაციაზე თანხმობა გაიცა დამოუკიდებელი ქცევითი ხასიათის ვალდებულებების შესრულების პირობით.

მიმდინარეობს ორი შეტყობინების განხილვა - უმაღლესი განათლების მიწოდებისა და გათბობა-გაგრილების სისტემების ბაზრებზე.

კონცენტრაციების სააგენტოს გვერდის ავლით განხორციელების გამო, ამავე პერიოდში დაჯარიმდა ოთხი სუბიექტი - სამი ფიზიკური და ერთი იურიდიული პირი, საერთო ჯამში 50 000 ლარით.

შპს „ქართული ცემენტისა“ და შპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუფის“ , შპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუფ ბეტონის“ საქმე

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (GCCA) ნაცრისფერი ცემენტისა და ბეტონის წარმოების ბაზრებზე შპს „ქართული ცემენტის“ მიერ შპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუფისა“ და შპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუფ ბეტონის“ წილების ან ქონების შეძენის გზით განსახორციელებელ კონცენტრაციაზე თანხმობა გასცა.

https://gcca.gov.ge/index.php?m=356

შპს „ბეთლაივისა“ და შპს „გლობალ გეიმინგის“ საქმე

სააგენტომ აზარტული, მომგებიანი თამაშობების მიწოდების სექტორში, შპს „ბეთლაივის“ მიერ შპს „გლობალ გეიმინგის“ 100%-იანი წილის შეძენის გზით განსახორციელებელ კონცენტრაციაზე თანხმობა გასცა.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1775

შპს „თეგეტა მოტორსისა“ და შპს „I GPS ოპერატორის“ საქმე

სააგენტომ GPS მოწყობილობების რეალიზაციის, მონტაჟისა და მონიტორინგის მომსახურების სექტორში, შპს „თეგეტა მოტორსის“ მიერ შპს „I GPS ოპერატორის“ (ს/ნ 404920289) საკონტროლო პაკეტის შეძენის გზით განსახორციელებელ კონცენტრაციაზე თანხმობა გასცა.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1774

ფ/პ პაატა შუბითიძისა და შპს „ნომერი - ერთის“ საქმე

სააგენტომ საავტომობილო გზების მშენებლობის სფეროში ფ/პ პაატა შუბითიძის მიერ შპს „ნომერი - ერთის“ 100%-იანი წილის შეძენის გზით განხორციელებული კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად ცნო.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1766

სს „გეფას“ და შპს „ფაინ თრი ინთერნეიშენალის“ საქმე

სააგენტომ სს „გეფას“ მიერ შპს „ფაინ თრი ინთერნეიშენალის“ 100%-იანი წილის შეძენის გზით განსახორციელებელ კონცენტრაციაზე თანხმობა გასცა.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1759

GCCA-მა ბათუმის თევზის ბაზრობის საქმეზე კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების არსებობა არ დაადასტურა

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1785

GCCA-ის მიერ დაინტერესებული მხარეებისთვის გზამკვლევი დოკუმენტი შემუშავდა

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1760

მომხმარებლის უფლებების დაცვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები

დარღვევის დადასტურება:

- **GCCA: ღონისძიების გაუქმების, გადადების შემთხვევაში tkt.ge-ს და biletebi.ge-ს მომხმარებლისთვის თანხის სრულად უკან დაბრუნება დაევალა**

საქმის შესწავლის პროცესში დადგინდა, რომ კონკრეტული ღონისძიების გაუქმების დროს, მომხმარებლებმა მხოლოდ ბილეთის საფასური დაიბრუნეს, პლატფორმის მომსახურების საკომისიოს გამოკლებით. გამომდინარე იქიდან, რომ თანხის ჯამური გადახდა ხორციელდება ერთ პლატფორმაზე, ერთი ტრანზაქციის ფარგლებში - ორივე ქმედება ურთიერთდაკავშირებულია და მათი ცალ-ცალკე განხილვა ბიზნეს-სამომხმარებლო ურთიერთობის ბალანსის დარღვევაა, რადგან თუ მომხმარებელი მომსახურების საკომისიოს არ გადაიხდის, ბილეთს ვერ შეიძენს და შესაბამისად ღონისძიებასაც ვერ დასწრება.

GCCA-ს პოზიციით, მომხმარებლებმა, რომლებიც www.biletebi.ge-სა და www.tkt.ge-ზე შეიძინეს ბილეთები, ღონისძიების გაუქმების/გადადების შემთხვევაში, უნდა მიიღონ ბილეთში გადახდილი თანხა სრულად, მათ შორის საიტის მომსახურების საკომისიოც. აღნიშნული გადაწყვეტილება დაეფუძნა როგორც საქართველოს კანონმდებლობას, ისე ევროკავშირის შესაბამის დირექტივებსა და საერთაშორისო პრაქტიკას.

GCCA-ის მიერ დადგინდა ღონისძიების გაუქმების/გადადების შემთხვევაში თანხის სრულად დაბრუნების სტანდარტი.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1758

პირობითი შეთანხმება:

- **GCCA-მა სს „ნიკორა ტრეიდის" მიერ მომხმარებლების უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე საქმის შესწავლა პირობითი ვალდებულებების აღების შესახებ შეთანხმების გაფორმებით დაასრულა**

სააგენტოს გადაწყვეტილებით, მოვაჭრეს დაევალა, რომ სავაჭრო ობიექტებში განთავსებულ პროდუქციაზე გასაყიდი ფასის მკაფიო და გასაგები ფორმით მითითება უზრუნველყოს. გარდა ამისა, ფასდაკლებების პერიოდში, "ნიკორა ტრეიდს" დაევალა, მომხმარებლებს შეთავაზებების/ფასდაკლებების მოქმედების ვადის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდოს. შეთანხმება აგრეთვე ითვალისწინებს მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის ინფორმაციის ქართულ ენაზე მიწოდების ვალდებულებას - მკაფიოდ და გასაგებად.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1787

- **GCCA-მ მომხმარებლის სასარგებლოდ შპს „ვოლტ ჯორჯიასთან" პირობითი ვალდებულების ხელშეკრულება გააფორმა**

GCCA-ს და მოვაჭრეს შორის გაფორმებული შეთანხმების თანახმად, კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად, სააგენტოს გადაწყვეტილებით მოვაჭრეს დაევალა:

- გამოასწოროს კომპანიის შიდა პოლიტიკა და კანონის მოთხოვნებს შეუსაბამოს;

- შეიმუშაოს მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ფორმა ქართულ ენაზე - მკაფიოდ, გასაგებად, სრულად და განათავსოს როგორც სავაჭრო პლატფორმაზე, ასევე ვებ-გვერდზე.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1770

- **GCCA-მ მომხმარებლის სასარგებლოდ შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისთან" პირობითი ვალდებულების ხელშეკრულება გააფორმა**

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1773

- **GCCA-იმ სოკართან პირობითი ვალდებულების შეთანხმება გააფორმა**

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1776

- **GCCA-მა „მეამას" მიერ მომხმარებლის უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე საქმის შესწავლა პირობითი ვალდებულებების აღების შესახებ შეთანხმების გაფორმებით დაასრულა**

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1784

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში, მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით, 2025 წლის ივლისიდან სექტემბრის ჩათვლით - 394 განაცხადი დაფიქსირდა, ხოლო შემოსული ზარების რაოდენობამ 880 შეადგინა. საანგარიშო პერიოდში, GCCA-ის გადაწყვეტილებით, მომხმარებელთა ჯგუფის უფლების 61 დარღვევის ფაქტი დადასტურდა - 89 საქმეზე. GCCA-ის მიერ დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო 29 მოვაჭრეს - 38 საქმეზე ჯარიმა დაეკისრა, ჯამში - 85 265 ლარის ოდენობით.

მომხმარებლის სასარგებლოდ, პირობითი ვალდებულების აღების შესახებ 45 საქმეზე - 39 შეთანხმება გაფორმდა.

სამი თვის მონაცემებით, მომხმარებლის მიერ სააგენტოში შემოსული განაცხადების მიხედვით, თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნაზე დაფიქსირდა 125, ნაკლიანი ნივთის შეკეთებასა ან დაბრუნებაზე 147, ნაკლოვანი მომსახურებისას უფლების აღდგენაზე 58, დადგენილ ვადაში საქონლის მიწოდებაზე 32, შეცდომაში შემყვანი საქმიანობის აკრძალვაზე 10, ხოლო სხვა დანარჩენზე 22.

დასრულებული საქმეების 90% მომხმარებლის სასარგებლოდ გადაწყდა და მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

ამ ეტაპზე, სხვადასხვა ინსტანციაში, მიმდინარეობს 63 სასამართლო დავა, GCCA-ს მიერ მიღებულ 55 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. მათ შორის, კონკურენციის მიმართულებით 42, ხოლო მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით - 22.

განხილვის პროცესშია - ნავთობკომპანიების, ფარმაცევტული კომპანიების, კინოთეატრის ბილეთების ონლაინ რეალიზაციის, დაზღვევის - საავანსო გარანტიების საქმე და სხვა.

სასწავლო კვლევითი ცენტრის აქტივობები

სასკოლო შეხვედრები

პროექტის - „კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლება სასკოლო საზოგადოებაში" ფარგლებში, რომლის მიზანია სკოლის მოსწავლეების ინფორმირება და განათლება კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებზე, თბილისსა და რეგიონებში დაიგეგმა შეხვედრა 24 სკოლაში.



საუნივერსიტეტო შეხვედრები

მომხმარებლის უფლებების თაობაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, დაგეგმვის პროცესშია საინფორმაციო - საგანმანათლებლო შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში.





ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატები

კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ ICPEN-ისა და World Bank-ის 2025 წლის მომხმარებელთა განათლების ჯილდო მიიღო
https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1792&lng=geo

ირაკლი ლექვინაძემ, ჟენევაში, UNCTAD-ის საერთაშორისო კონფერენციას პრეზიდენტის რანგში უხელმძღვანელა
https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1750

ირაკლი ლექვინაძე Consumers International-ის გენერალურ დირექტორს შეხვდა
https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1751

ირაკლი ლექვინაძე UNCTAD-ის მე-9 საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა
https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1752

ირაკლი ლექვინაძემ UNCTAD-ის საერთაშორისო კონფერენციის დასკვნით სესიას უხელმძღვანელა
https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1753

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით GCCA-ის თანამშრომლებისთვის სამუშაო შეხვედრა გაიმართა
https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1763

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს (GCCA) თანამშრომლებისთვის გასვლითი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.
https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1743

თბილისში 13-15 ნოემბერს IV საერთაშორისო კონფერენცია „კონკურენცია და მომხმარებლის უფლებების დაცვა" გაიმართება
https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1764

www.ccc.gov.ge

კონკურენციის და მომხმარებლის დაცვის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი უწყებების აქტივობების *საერთაშორისო მიმოხილვა*

იტალიის კონკურენციის უწყებამ 3.5 მილიონი ევროს ჯარიმას აკისრებს Giorgio Armani-ს, არაკეთილსინდისიერი კომერციული პრაქტიკის გამო.
https://en.agcm.it/en/media/press-releases/2025/8/PS12793

იტალიის კონკურენციის უწყებამ დაიწყო გამოძიება META-ს წინააღმდეგ, ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის სავარაუდო ბოროტად გამოყენების გამო.
https://en.agcm.it/en/media/press-releases/2025/7/A576

იტალიის კონკურენციის უწყებამ კომპანიას 3 მილიონი ევროს ჯარიმა დააკისრა არაკეთილსინდისიერი კომერციული პრაქტიკისთვის.
https://en.agcm.it/en/media/press-releases/2025/7/PS12706

გერმანიის კონკურენციის უწყება (Bundeskartellamt): Lufthansa-მ შესაძლოა შეიძინოს AirBaltic-ის მცირე წილი.
https://www.bundeskartellamt.de/SharedDocs/Meldung/DE/Pressemitteilungen/2025/30_06_25_airBaltic.html?nn=52004

საბერძნეთის კონკურენციის კომისიამ (HCC) გამოაქვეყნა კერძო ჯანდაცვისა და მასთან დაკავშირებული სადაზღვევო სერვისების სექტორის მოკვლევის საბოლოო ანგარიში.
https://www.epant.gr/en/information/press-releases/item/3220-press-release-final-report-of-the-sector-inquiry-on-private-health-services-and-related-insurance-services.html

თურქეთის კონკურენციის უწყებამ დაიწყო გამოძიება Google-ის წინააღმდეგ.
https://www.rekabet.gov.tr/en/Guncel/a-decision-to-launch-an-investigation-on-9dfcfcd81f7ff01193e20050568549fa

ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებლის კომისიამ (ACCC) სარჩელი წამოიწყო Google Asia Pacific-ის წინააღმდეგ ანტიკონკურენტული შეთანხმების გამო.
https://www.accc.gov.au/media-release/google-admits-anti-competitive-conduct-involving-google-search-in-australia

The New York Times: FCC-მ დაამტკიცა Skydance-ისა და Paramount-ის 8 მილიარდი დოლარის ღირებულების გარიგება.
https://www.nytimes.com/2025/07/24/business/media/fcc-skydance-merger-paramount.html

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისიამ (UOKiK) გამოავლინა მარცვლეულის, ყალბი პოლონური ბრენდებისა და არაკეთილსინდისიერი გამყიდველების ფაქტები.
https://uokik.gov.pl/en/high-risk-purchases-fake-stores-fake-polish-brands-dishonest-resellers

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისიამ (UOKiK) გამოავლინა მარცვლეულის, ყალბი პოლონური ბრენდებისა და არაკეთილსინდისიერი გამყიდველების ფაქტები.
https://uokik.gov.pl/en/high-risk-purchases-fake-stores-fake-polish-brands-dishonest-resellers

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისიამ უზრუნველყო თანხის დაბრუნება და კომპენსაცია PayPal-გან.
https://uokik.gov.pl/en/unauthorised-changes-to-the-agreement-refunds-and-compensation-from-paypal

ხორვატიის კონკურენციის უწყებამ კომპანია Tommy d.o.o. არაკეთილსინდისიერი სავაჭრო პრაქტიკისთვის 212,500 ევროს ჯარიმა დააკისრა.
https://www.aztn.hr/en/provedba-zntp-a-aztn-kaznio-tommy-d-o-o-split-s-212-50000-eura-zbog-nepostene-trgovacke-prakse/

ხორვატიის კონკურენციის უწყება ხორვატიის უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ უარი განაცხადა SPAR-ის საჩივარზე და ძალაში დატოვა სასამართლოს გადაწყვეტილება.
https://www.aztn.hr/en/visoki-upravni-sud-republike-hrvatske-odbio-zalbu-tuzitelja-spar-hrvatska-d-o-o-i-potvrdio-presudu-upravnog-suda-u-zagrebu/

15 20
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge
GCCA • საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო
GCCA • Georgian Competition and Consumer Agency
0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი "მწვანე ოფისი"